საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №158/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 10 სექტემბრის №158 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 756 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღიშნავს, რომ მოსამართლემ არაერთგზის უსაფუძვლოდ გადადო სასამართლო პროცესები, რამაც გამოიწვია საქმის განხილვის გაჭიანურება 2 წლამდე ვადით. ამასთან, არაერთხელ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2019 წლის 19 ივლისს, ხოლო მხარეებისათვის ამის შესახებ მხოლოდ თანაშემწისგან გახდა ცნობილი, თუმცა ამ ეტაპისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების არც სარეზოლუციო და არც სამოტივაციო ნაწილის მათ არ გადასცემიათ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 4 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, შემდეგი მოთხოვნით: -- -- სასარგებლოდ, -- -- მიერ 20.11.2016 წელს შესრულებული საკადასტრო გეგმვითი/აზომვითი ნახაზის მიხედვით, სერვიტუტით დაიტვირთოს -- -- საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის - -- კვ.მ, მდებარე -- --, მიწის საკადასტრო კოდი: -- -- და -- -- უფლება მიეცეს სერვიტუტით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე გზის გაკეთების, რომელიც დააკავშირებს -- -- საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ცენტრალურ გზასთან.

2017 წლის 7 აგვისტოს განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა, რომელიც 2017 წლის 18 აგვისტოს გაასაჩივრა -- --. 2017 წლის 24 აგვისტოს განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაიგზავნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

სარჩელზე მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 20 სექტემბერს.

2017 წლის 10 ოქტომბერს საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში. 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინებით, -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქმე -- -- სასამართლოს დაუბრუნდა 2017 წლის 20 დეკემბრიდან.

მოსამართლემ საქმის განხილვისათვის სხდომები ჩანიშნა შემდეგ თარიღებში: 2018 წლის 30 მაისი; 2018 წლის 31 მაისი; 2018 წლის 7 ივნისი; 2018 წლის 5 ივლისს.

2018 წლის 8 ივნისი განჩინებით -- -- წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 4 ოქტომბერს -- -- მიერ წარდგენილ იქნა შეგებებული სარჩელი, რომელიც 2018 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ იქნა განსახილველად (შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი წარედგინა 2018 წლის 24 ოქტომბერს).

2018 წლის 4 ოქტომბერს -- -- წარმომადგენელმა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს. აღნიშნული განცხადება 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. -- -- წარმომადგენელმა გაასაჩივრა 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება. 2018 წლის 18 ოქტომბერს საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2018 წლის 1 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 26 ნოემბრიდან. 05.10.2018 წლის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დარჩა ძალაში. ხოლო საქმე პირველ ინსტანციას დაუბრუნდა 2019 წლის 6 მაისს.

შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 5 ოქტომბერს; საქმის განხილვა გაგრძელდა 2018 წლის 25 დეკემბერს; შემდგომ სხდომა დაინიშნა 2019 წლის 22 მარტს, რომელიც გაგრძელდა 2019 წლის 29 მაისს და 2019 წლის 26 ივნისს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება დაინიშნა 2019 წლის 15 ივლისს, რომელიც გადაიდო 2019 წლის 19 ივლისს.

2019 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; -- -- შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. -- -- გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2019 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო -- -- გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ დევს.

-- -- მიერ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2019 წლის 22 აგვისტოს, ხოლო -- -- მიერ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2019 წლის 27 აგვისტოს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 10 სექტემბრის №158 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარჩელზე მოპასუხემ შესაგებელი წარმოდგენილი წარადგინა 2017 წლის 20 სექტემბრის. საქმის განხილვისათვის კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს კონკრეტული თარიღიდან. საქმის განხილვა დასრულდა - 2019 წლის 19 ივლისს. მოსამართლის წარმოებაში საქმე იხილებოდა 1 წელი და 10 თვის განმავლობაში, ანუ მოსამართლემ საქმის განხილვის ვადა გააჭიანურა 1 წლისა და 5 თვის ვადით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლემ კონკრეტული საქმის განხილვის პერიოდში ჩაატარა 10 სხდომა (30.05.2018; 31.05.2018; 07.06.2018; 05.07.2018; 05.10.2018; 25.12.2018; 22.03.2019; 29.05.2019; 26.06.2018; 19.07.2019), იმსჯელა მხარეთა მიერ წარდგენილ არაერთ განცხადებასა თუ შუამდგომლობაზე, მათ შორის შეგებებულ სარჩელზე. ამასთან, საქმე საჩივრის განხილვის მიზნით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნილი იყო ორჯერ, საერთო ჯამში 9 თვის განმავლობაში. ამდენად, მოსამართლე -- -- საქმის განხილვისათვის საერთო ჯამში დაჭირდა 1 წელი და 1 თვე. მოსამართლემ საქმე განიხილა 8 თვის დაგვიანებით.

მნიშვნელოვანია მოსამართლის დატვირთულობაც: 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 1674 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა 888 სამოქალაქო საქმე (53%). 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 2024 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა 1,090 სამოქალაქო საქმე (54%). ხოლო 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 827 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა 728 სამოქალაქო საქმე (88%).

აღნიშნული საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების (ჩატარებული სხდომები; მიღებული განჩინებები; განხილული შუამდგომლობები) შეფასების მიხედვით, ამასთან სტატისტიკური მონაცემებისა და მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის ვადის ბრალეულად დარღვევის ფაქტი.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მომზადებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევას; მოცემულ შემთხვევაში საჩივარი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამასთან, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი,

გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება გამოაცხადა 2019 წლის 19 ივლისს, ამდენად მხარისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2019 წლის 20 აგვისტოდან და დასრულდა 2019 წლის 4 სექტემბერს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა 27.08.2019 წელს. აღსანიშნავია, რომ მხარეს არ წართმევია გასაჩივრების უფლება და მისი საჩივარი იხილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №158/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი